განკარგულება:**g-17. 17232096**
თარიღი:**28/07/2023**

ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის, ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახურის ანგარიშის შეფასება 2023 წელს გაწეული მუშაობის შესახებ

“ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი”-ს საქართველოს ორგანული კანონის მე-16 მუხლის მე-3 პუნქტის და 61-ე მუხლის მე-2 ქვეპუნქტის საფუძველზე

1. ცნობად იქნეს მიღებული და შეფასდეს დადებითად ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის, ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახურის ანგარიშის შეფასება 2023 წელს გაწეული მუშაობის შესახებ, თანახმად დანართისა.

2. განკარგულება ძალაში შედის მისი ხელმოწერისთანავე.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით, გაცნობიდან 1 თვის ვადაში ახალციხის რაიონულ სასამართლოში (ქ. ახალციხე მებაღიშვილის ქუჩა #60ა)

დავით ზაალიშვილი

ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

ჯანმრთელობის დაცვის, სოც. უზრუნველყოფის, ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახურის 6 თვის ანგარიში

მიმდინარე წლის ორ კვარტალში **სტაციონარული** მომსახურეობის მუხლით დახმარება გაეწია 950 პირს თანხით 711 887 ლარი; 107 **მრავალშვილიან ოჯახზე** გაიცა დახმარება 154 550 ლარის ოდენობით; **დედმამით ობოლ** 1 ბენეფიცარს ორი თვის მანძილზე გაეწია დახმარება 500 ლარით, ხოლო **შშმ პირებს**, რომელთა რაოდენობა შეადგენს 96 ბენეფიციარს დახმარების თანხამ შეადგინა 55 900 ლარი; 1 800 ლარის დახმარება გაეწიათ მუნიციპალიტეტში მცხოვრებ **ღვაწლმოსილ** 3 ბენეფიციარს და „**100 წელს გადაცილებულ**“ 1 მოქალაქეზე გაიცა 600 ლარი. 300 ლარიანი დახმარება მიეცათ 30 **ახალდაქორწინებულ** წყვილს 9 000 ლარის ოდენობით. **ახალშობილების** მუხლით 58 ახალშობილზე გაიცა 58 000 ლარი, ხოლო **სარიტუალო** მომსახურება გაეწია 4 ბენეფიციარს თანხით 550 ლარი. **მედიკამენტების** მუხლით დახმარება გაეწია 560 ბენეფიციარს 81 236 ლარით, ხოლო **ონკოლოგიურ ბენეფიციარებს**, რომელთა რაოდენობა შეადგენს 169 ბენეფიციარს დახმარების თანხამ შეადგინა 147 365 ლარი; **მარტოხელა მშობლების** დახმარების მუხლით 85 მშობელს გაეწია დახმარება 44 000 ლარის ოდენობით. **ბავშვთა უფლებებისა და დაცვის** მიმართულებით პროგრამით სარგებლობს 57 კრიზისულ სიტუაციაში მყოფი ბავშვი და დახმარების თანხამ შეადგინა 31 200 ლარი

საანგარიშო პერიოდში **ერთჯერადი** დახმარებები გაიცა **მეორე მსოფლიო ომის ვეტერანებზე** 300 ლარი და **გათანაბრებულ** პირებზე 100ლარი-ჯამში 1300 ლარის ოდენობით 9 ვეტერანზე. **დედის დღესთან** დაკავშირებით, რომელიც ითვალისწინებს 150 ლარიან დახმარებას 107 მრავალშვილიან დედაზე გაიცა 16050 ლარი. სოციალური დახმარებების პაკეტი, რომელიც მოიცავს სხვადასხვა კატეგორიის ბენეფიციარებს **საღდგომოდ** დახმარება გაეწია 702 ბენეფიციარს თანხით 70800 ლარი. 26 მაისის დღესასწაულთან დაკავშირებით **შშმ ვეტერანებსა და დიდი სამამულო ომის** მონაწილე 29 ვეტერანს დახმარება გაეწია 2900 ლარის ოდენობით. ყოველთვიურად **დღის ცენტრ „ხედვა, ზრუნვა, მხარდაჭერა“**-ს კომუნალური ხარჯების დასაფარად ჯამში გადაერიცხა 1 539 ლარი. **მრავალშვილიანი ოჯახების კომუნალურმა სუბსიდირებამ** 6 თვის მანძილზე შეადგინა 28 395 ლარი 176 ოჯახზე. ჯამში 2023 წლის იანვრიდან დღემდე გაიცა 1 417 572 ლარი 3 171 ბენეფიციარზე.

საანგარიშო წლის მესამე კვარტალში გაგრძელდება ყველა იმ პროგრამის განხორციელება, რომელიც გათვალისწინებულია პროგრამით, აგრეთვე ინფორმაციის შეგროვება იმ ბენეფიციარების შესახებ, რომელსაც ითვალისწინებს სოც. დაუცველი მომსახურების კომუნალურ სუბსიდირებას ზამთრის სეზონთან დაკავშირებით. ხოლო რაც შეეხება დანარჩენ 2023 წლით დაგეგმილ სოციალური დახმარებების მუხლებს სრულდება გეგმით გაწერილი გრაფიკის მიხედვით.